განკარგულება:**g-81. 8123305001**
თარიღი:**01/11/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №45

ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად. (დანართი თან ერთვის).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ (მერი ლევან ზალკალიანი, მერის მოადგილე რევაზ ახვლედიანი) შესაბამისი სამსახურების, ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის საქმიანობა წარმართოს ტურიზმის განვითარების კუთხით მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების აღმოფხვრის და საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ამ კუთხით საჭიროა მომზადდეს პროგრამა, სადაც მოხდება პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის უკეთ ფუნქციონირებას.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩლის წარმოდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი რუსთაველის ქ. №69)

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი